German Partnership Program
for Excellence in Biological and
Health Security

NCDC

ურთიერთგაგების მემორანდუმი

გერმანულ-ქართული პარტნიორობა ბიოუსაფრთხოების სფეროში

2013 წლის დეკემბერში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს დელეგაცია, პარტნიორული პროექტის შეფასების მისიით, სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა საქართველოში. ვიზიტის მიზანი იყო მიმდინარე ორმხრივი გერმანულ-ქართული თანამშრომლობის გაგრძელების საკითხის განხილვა ბიოუსაფრთხოების სფეროში. ვიზიტის შედეგად, გერმანული დელეგაციის წარმომადგენლებმა და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის (დკსჯეც) ხელმძღვანელობამ მიაღწიეს შეთანხმებას გერმანულ-ქართული სამომავლო ურთიერთანამშრომლობის შესახებ ბიოუსაფრთხოების ძირითად საკითხებში.

ურთიერთთანამშრომლობა განხორციელდება **გერმანული პარტნიორობა– ბიოლოგიური და ჯანმრთელობის უსაფრთხოების პროგრამის ფარგლებში.** ეს არის გლობალური პროგრამა, რომლის ინიციატორიც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროა. პროგრამის მიზნები შეესაბამება G8 ბიოლოგიური უსაფრთხოების საერთაშორისო კრიტერიუმებს.

საქართველოს მხრიდან, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი (დკსჯეც) არის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წამყვანი ორგანიზაცია საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში. გერმანიის მხრიდან, ბუნდესვერის მიკრობიოლოგიის ინსტიტუტი (BwIM) არის ბიო–სამედიცინო სფეროში უსაფრთხოების ცენტრი და წამყვანი პარტნიორი ზემოაღნიშნულ პროექტში.

თანამშრომლობის სფერო 1: ერთობლივი კვლევა

ორივე მხარე თანხმდება ვირუსული და ბაქტერიული პათოგენების ერთობლივ კვლევაზე. კვლევის პრიორიტეტი იქნება ვირუსული და ბაქტერიული ინფექციები, მათ შორის და არა მხოლოდ, განსაკუთრებით საშიში პათოგენები (EDP). ერთობლივი კვლევითი პროექტი შესაძლოა, აგრეთვე, მოიცავდეს მხარეთა შორის ადამიანის, ცხოველის, ბაქტერიული ან ვირუსული ნიმუშებების გაცვლას.

თანამშრომლობის სფერო 2: ახალგაზრდა მეცნიერთა ტრეინინგი.

ორივე მხარე თანხმდება, ითანამშრომლონ ქართველ ახალგაზრდა მეცნიერთა მომზადება/გადამზადების საკითხებში, რომლის მიზანიც იქნება საქართველოს და კერძოდ დკსჯეც–ის სამეცნიერო და ლაბორატორიული საქმიანობის გაძლიერება. გერმანელი ექპერტები ახალგაზრდა მკვლევარებს გადაამზადებენ დკსჯეც-ლუგარის ცენტრსა და ბუნდესვერის მიკრობიოლოგიის ინსტიტუტში. სწავლების მიზანია ბიოუსაფრთხოების მე-2 და მე-3 დონეების ლაბორატორიაში სამუშაო პრაქტიკის გაუმჯობესება და ცოდნის ამაღლება.